ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/291223/14

ქ. თბილისი **29 დეკემბერი, 2023 წ.**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ №204525585; სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი GE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორე მხრივ **შპს „პიტსტოპ მოტო“** (შემდგომში მიმწოდებელი), დირექტორის ოთარ ბიბილეიშვილი სახით, იურიდიული მისამართი : საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, გ. შატბერაშვილის ქ., N 4, კორ. 7, ბ. 80; ტელ : (+995 599 99 40 99; ს/კ : 405046098, ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი“ ;ბანკის კოდი : TBCBGE22 , ანგარიშის ნომერი: GE88TB7082736080100001;

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა 2024 წლის სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო კონტროლის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გეზებსა და საბაჟო გამშვები პუნქტების თანამშრომლების გადასაადგილებისათვის საჭირო 5 (ხუთი) ერთეული სამ თვლიანი სკუტერის (ტრიციკლი) **(34421000 - მოტოსკუტერები)** სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **(NAT230026246)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **101 250.00 (ას ერთი ათას ორას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება) .**

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1 - ფასთა ცხრილი) შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტისათვის მოთხოვნილი ტექნიკური პირობები მოცემულია ხელშეკრულების N1 დანართში.

4.საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან **არაუმეტეს 60 (სამოცი)** კალენდარული დღის ვადაში;

4.2. საქონელის მიწოდების ადგილია : **ქ.თბილისი, აბზიანიძის 4.**

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით და ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მე-3 პუნქტით და ამ ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3.იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ამავდროულად მიმწოდებელს განესაზღვრება **15 (თხუთმეტი)** კალენდარული დღე, რათა უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშკრულება.
5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).
5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) წარმოდგენიდან (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა **15 (თხუთმეტი) კალნედარულ** დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და

შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით
მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ უწყვეტი ელექტრომომარაგების წყაროების მიწოდების პროცესში გამოვლინდა, რომ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს ან/და თუ დარღვეულია ამ ხელშეკრულების 7.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, აღნიშნული ჩაითვლება არაჯეროვან შესრულებად და შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელი დააჯარიმოს ერთჯერადად მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.5.შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.საგარანტიო პირობები:

15.1.მიწოდებულ უწყვეტი ელექტრომომარაგების წყაროებზე (სწორი ექსპლუატაციის პირობებში) ვრცელდება გარანტია ექსპლუატაციაში შესვლიდან **2 წელი ან 50 000კმ ,ამ უკანასკნელი პირობებიდან ერთ ერთის დადგომისას**

15.2. დეტალური საგარანტიო პირობები და გამონაკლისები მოცემულია ხელშეკრულების დანართი N2-ში.

15.3. ექსპლუატაციის პერიოდში გეგმიური მომსახურების სახელმძღვანელო, სადაც მითითებულია შემდგომი გეგმიური მომსახურების მატრიცა, მოცემულია ხელშეკრულების დანართი N3-ში.

15.4. აღნიშნული დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

15.5 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან (მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით) გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს **15 (თხუთმეტი)** კალენდარული დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია ნივთის მექანიკური დაზიანებით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2024 წლის 31 მარტის** ჩათვლით გარდა ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით განსაზღვრული შემთხვევისა.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“**	**„მიმწოდებელი“** **შპს „პიტსტოპ მოტო“**
---	---
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**დირექტორი**
მიხეილ ახვლედიანი	**ოთარ ბიბილეიშვილი**
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.12.29 17:57:34 +04'00'	Otar Bibileishvili 01031003930 Digitally signed by Otar Bibileishvili Date: 2023.12.29 13:01:04

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი კომპანიის და მოდელის შესახებ	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	მთლიანი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა	ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ
1	**სამთვლიანი სკუტერი (ტრიციკლი)**	**გამოშვების წელი** - 2023 ; **სატერავები** - **წინ სატერავი 2 და უკან 1** ; **ძრავის მოცულობა** - 278 CC ; **საჭის გათხრა** - **საჭის ულ გათხრა გაარნია** ; **საწვავის სისტემა** - **ელექტრო მიწოდება (ინჟექტორი)** ; **საწვავის ზოხმარება** - 3.2 **ლიტრი** / 100 **კმ-ზე** ; **გაგრილება** - **სითხით გაგრილება** ; **გადაცემათა კოლოფი** - **ავტომატური (ვარიატორი)** CTV ; **სტარტერი** - **ელექტრო** ; **წინა დაკიდების სისტემა** - 2 **სატერავი სახსროვანი ოთხ წახნაგოვანი ელექტრო ჰიდრავლიკური ხლიკორების სისტემით** ; **უკანა დაკიდების სისტემა** - **ორმაგი ჰიდრავლიკური ამორტიზატორებით წინასწარ დარეგულირებული ზამბარებით** ; **წინა და უკანა მუხრუჭი** - **დისკური**, **წინა ორი დისკი** 258**მმ**, **უკანა ერთი დისკი** 240**მმ**; **საგალი დისკი** - **ალუმინი** ; **სამუხრუჭე სისტემა** - ABS +CBS ; **სიგრძე/სიგანე** - 2000 **მმ**/ 800**მმ**; **საგალი ბაზა (სატერავებს შორის დაშორება)** - 1450 **მმ**; **საჯდომი სიმაღლე** - 780 **მმ** **ბალუბა** - **ელექტრო იმდუქციული გაჩვიათ ელექტრო ამოხალაზერით მოცურების საწინააღმდეგო სისტემით** (ASR) ; **ადგილების რაოდენობა** - 2 **ემისიის სტანდარტი** - EURO 5 **შენიშვნა: შემოთავაზებული ტრიციკლი არის ეფექტურობაში არ მყოფი/ახალი წელოვანი გარხენით და კომპლექტში მოყვება ახალი ზამთრისა და ზაფხულის სეზონის სატერვები.** **გამარჯვების შემთხვევაში კომპანია ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის არანაკლებ** 5 (ხუთი) **თანამშრომელს გააცნოს შემოთავაზებული ტრიციკლის გამოყენების პირობები.**	წარმოებულია იტალიაში, კომპანია Piaggio & C. Spa მოდელი Piaggio MP3 300 HPE (Euro 5)	**5**	20250.00	**101250.00**	**ქ.თბილისი, ახზიაწინის ქ.N4**	**საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან** 60 (სამოცი) **კალენდარული დღის ვადაში.**	**მიწოდებულ სამ თვლიან სკუტერზე (ტრიციკლი) გრეველდება გარანტია ექსპლუატაციაში შესვლიდან** 2 **წელი ან** 50 000**კმ** .

შპს"პიტსტოპმოტო „
საქართველოქ.თბილისი ,გ. შატბერაშვილი N 4
ს/კ 405046098

“ PITSTOP MOTO ”LLC
4 Shatberashviilist, Tbilis Georgia
VAT 405046098

12/19 19 დეკემბერი 2023

შემოსავლების სამსახურის
ფინანსურ დეპარტამენტის
სატენდერო კომისიას

მოგახსენებთ რომ ჩვენს მიერ შევოთავაზებული ტექნიკის Piaggio MP3 300 HPE (Euro 5) არის სრულიად ახალი წარმოებული 2023 წელს. მისი მიწოდება მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.

სამთვლიანი სკუტერს (ტრიციკლი) ს Piaggio MP3 300 HPE (Euro 5) კომპლექტში მოჰყვება ზამთრის და ზაფხულს სეზონის საბურავები

შემოთავაზებული სამ თვლიანი სკუტერი Piaggio MP3 300 HPE (Euro5) ს გარანტია ვრცელდება 2 წელი ან 50 000 კმ (რომელიც პირველი შესრულდება)

კომერციული გარანტიის გამონაკლისები და შეზღუდვები

ა) ჰაერის/ზეთის ფილტრების გამოცვლა;
ბ) სხვადასხვა საპოხი მასალის შევსება ან დამატება
გ) მიწოდებული აქსესუარების, მოხმარებადი მასალების და, ზოგადად, ცვეთადი და ამორტიზირებადი ნაწილების შეკეთებას ან/და შეცვლას, კერძოდ:
სამუხრუჭე ხუნდები;
სამუხრუჭე დისკი;
პლომბები;
საბურავები;
აკუმულატორი;
ნათურები;
უნაგირი (saddle);
მილები ან სხვა რეზინის ნაწილები;
სარემონტო კომპლექტი;
გადასართავი კაბელები;
დ) ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული დაზიანება;
ე) ვ) გაუმართაობა და დაზიანება, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, მესამე პირის მიერ ზემოქმედებით (მათ შორის და არა მხოლოდ ვანდალიზმით, სამოქალაქო არეულობით, დანაშაულის შედეგად და ა.შ.) ან/და ამინდის ზემოქმედებით (მათ შორის და არა მხოლოდ,

სეტყვა, მზე, წვიმა, თოვლი და ა.შ.);
ვ) გაუმართაობა და დაზიანება, რომელიც გამოწვეულია:
(I) სატრანსპორტო საშუალების არაკვალიფიციური პირების მიერ შეკეთების ან/და ცვლილების ან/და რემონტის შემთხვევაში, გარდა სპეციალიზირებული ციმციმა-სანათი დამონტაჟების პროცესში საჭირო ელექტრო გაყვანილობისა.
(II) გადახურების შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია სატრანსპორტო საშუალების ძრავში არასაკმარისი საპოხი მასალების არსებობით;
(III) იმგვარი აქსესუარების ან ნაწილების გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც არ არის ორიგინალი ან შესაბამისი ხარისხის, გარდა სპეციალიზირებული ციმციმა-სანათისა.

ზ) იმ შემთხვევაში თუ გარანტიის პერიოდში რეგულარული სავალდებულო სერვისი ან სხვა გვარის მომსახურება ჩაუტარდება სატრანსპორტო სშუალებას არა ოფიციალური სერვისში.

შენიშვნა: შემოთავაზებულ ტრიციკლზე შემსყიდველის მიერ, სპეციალიზირებული ციმციმა-სანათის დამოტნაჟების მიუხედავად, უნდა გავრცელდეს საგარანტიო პირობები.

შპს "პიტსტოპ მოტო"-ს
დირექტორი ო.ბიბილეიშვილი

Eliava Market 0154 Tbilisi
+995 599 994 099
info@pitstopmoto.ge
www.pitstopmoto.ge

MP3 300 hpe

PIAGGIO

Chap. 07
Scheduled maintenance

07_01

Scheduled servicing table (07_01)

Adequate maintenance is fundamental to ensure long-lasting, optimum operation and performance of your vehicle.

For this reason a series of checks and maintenance services has been prepared, available for purchase separately, listed together in the chart on the following page. It is a good idea to report small performance anomalies right away to an **Authorised Service Centre**, without waiting for the next scheduled service, so they can be repaired immediately.

It is necessary to have your vehicle serviced to the prescribed intervals of time, even if you have not reached the predicted mileage. Services must be performed punctually at the correct intervals to maintain the validity of the warranty. For any additional information concerning Warranty procedures and 'Scheduled Maintenance', please consult the 'Warranty Conditions'.

SCHEDULED MAINTENANCE TABLE

km x 1,000 (mi x 1,000)	1 (0.6)	5 (3.1)	10 (6.2)	20 (12.4)	30 (18.6)	40 (24.9)	50 (31.1)	Every 12 months	Every 24 months
Safety blocks	I		I		I		I		
Spark plug				R		R			
Centre stand			L	L	L	L	L	L	L
Roll lock calliper control cable			A	A	A	A	A		
Drive belt			R	R	R	R	R		
Throttle control	I		I	I	I	I	I	I	I
Complete roller housing			I	I	I	I	I		
Diagnosis by tool	I		I	I	I	I	I	I	I
Air filter			R	R	R	R	R		

km x 1,000 (mi x 1,000)	1 (0.6)	5 (3.1)	10 (6.2)	20 (12.4)	30 (18.6)	40 (24.9)	50 (31.1)	Every 12 months	Every 24 months
CVT Filter			I	I	I	I	I		
Engine oil filter	R		R	R	R	R	R	R	R
Valve clearance			A	A	A	A	A		
Clutch assembly			I	I	I	I	I		
Electrical system and battery	I		I	I	I	I	I		
Braking system	I		I	I	I	I	I	I	I
Coolant	I		I	I	I	I	I	I	R
Brake Fluid	I		I	I	I	I	I	I	R
Engine oil *	R	I	R	R	R	R	R	R	R
Hub oil	R		I	R	I	R	I	I	I
Headlight direction adjustment			I		I		I		
Brake pads	I		I	I	I	I	I	I	I
Sliding shoes / CVT rollers			R	R	R	R	R		
Tire pressure and wear	I		I	I	I	I	I	I	I
Vehicle road test	I		I	I	I	I	I	I	I
Driven pulley - roller casings			I	I	I	I	I		
Suspensions			I	I	I	I	I	I	I
Centre and side steering	A		A	A	A	A	A	I	I
Transmission			I	I	I	I	I	I	I

I: CHECK AND CLEAN, ADJUST, LUBRICATE OR REPLACE IF NECESSARY C: CLEAN, R: REPLACE, A: ADJUST, L: LUBRICATE
** Check the engine oil level and if necessary top up at 5,000 km (3.1 mi).*

თავი 07 დაგეგმილი ტექნიკური მომსახურება

დაგეგმილი მომსახურების ცხრილი (07_01)

ადეკვატურ ტექნიკურ მომსახურებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს თქვენი ტრანსპორტის გრძელვადიანი, ოპტიმალური მუშაობისა და ექსპლუატაციისთვის. სწორედ ამ მიზეზით მომზადებულ იქნა რიგი შემოწმებები და ტექნიკური მომსახურება, რომელთა შეძენა შესაძლებელია ცალკე; ეს სერვისები ერთად არის მოცემული მომდევნო გვერდზე წარმოდგენილ ცხრილში. მიზანშეწონილია, დაუყოვნებლივ - შემდეგი დაგეგმილი მომსახურებისთვის დაცდის გარეშე - შეატყობინოთ ექსპლუატაციის მცირე გაუმართაობის შესახებ ავტორიზებულ სერვის ცენტრს, რათა მოხდეს მისი დაუყოვნებლივ გამოსწორება.

აუცილებელია თქვენი სატრანსპორტო საშუალება ტექნიკური მომსახურების წარმოება დროის დადგენილ ინტერვალებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არის ფიქსირებული პროგნოზირებულ გარბენის მაჩვენებელი. გარანტიის მოქმედების შესანარჩუნებლად მომსახურება უნდა შესრულდეს პუნქტუალურად, სწორი ინტერვალებით. საგარანტიო პროცედურებთან და „დაგეგმილ ტექნიკურ მომსახურებასთან“ დაკავშირებით ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის საჭიროებისას, გთხოვთ, გაეცნოთ „საგარანტიო პირობებს“.

დაგეგმილი ტექნიკური მომსახურების ცხრილი

კმ x 1,000 (mi x 1,000)	1 (0.6)	5 (3.1)	10 (6.2)	20 (12.4)	30 (18.6)	40 (24.9)	50 (31.1)	ყოველ 12 თვეში	ყოველ 24 თვეში
უსაფრთხოების ბლოკები	I		I		I		I		
ანთების სანთელი				R		R			
ცენტრალური საყრდენი			L	L	L	L	L	L	L
Roll lock მუხრუჭის მართვის სადენი			A	A	A	A	A		
ამძრავი ღვედი			R	R	R	R	R		
დროსელის რეგულირება	I		I	I	I	I	I	I	I
გორგოლაჭების სრული კორპუსი			I	I	I	I	I		
დიაგნოსტიკა ხელსაწყოებით	I		I	I	I	I	I	I	I
საჰაერო ფილტრი			R	R	R	R	R		

კმ x 1,000 (mi x 1,000)	1 (0.6)	5 (3.1)	10 (6.2)	20 (12.4)	30 (18.6)	40 (24.9)	50 (31.1)	ყოველ 12 თვეში	ყოველ 24 თვეში
CVT ფილტრი			I	I	I	I	I		
ძრავის ზეთის ფილტრი	R		R	R	R	R	R	R	R
სარქველის ღრეჩო			A	A	A	A	A		
მაერთებელი ქუროს აწყობა			I	I	I	I	I		
ელექტრო სისტემა და ბატარეა	I		I	I	I	I	I		
სამუხრუჭე სისტემა	I		I	I	I	I	I	I	I
გამაგრილებელი სითხე	I		I	I	I	I	I	I	R
სამუხრუჭე სითხე	I		I	I	I	I	I	I	R
ძრავის ზეთი *	R	I	R	R	R	R	R	R	R
სამანქანო ზეთი	R		I	R	I	R	I	I	I
ფარების მიმართულების რეგულირება			I		I		I		
სამუხრუჭე ხუნდები	I		I	I	I	I	I	I	I
მოცურების საწინააღმდეგო ფენსაცმელი / CVT ლილვაკები			R	R	R	R	R		
საბურავის წნევა და ცვეთა	I		I	I	I	I	I	I	I
მანქანის საგზაო ტესტირება	I		I	I	I	I	I	I	I
წამყვანი ბორბალი - გორგოლაჭების გარსაცმები			I	I	I	I	I		
საკიდარი			I	I	I	I	I	I	I
ცენტრალური და გვერდითი საჭე	A		A	A	A	A	A	I	I
გადაცემა			I	I	I	I	I	I	I

I: შეამოწმეთ და გაასუფთავეთ, დაარეგულირეთ, შეზეთეთ ან შეცვალეთ საჭიროების შემთხვევაში. C გაცმენდა, R შეცვლა, A მორგება, L გაპოხვა,

*შეამოწმეთ ძრავის ზეთის დონე საჭიროების შემთხვევაში აავსეთ 5,000 კმ-ზე (3.1 მილი)

ვადასტურებ, რომ თარგმანი შესრულებულია ჩემ მიერ და შეესაბამება დედანს.
I certify the accuracy of the translation and it corresponds to original.

თარჯიმანი: მანანა კვირკველია
Translator: Manana Kvirkvelia

ქ. თბილისი

საქართველო

მე, ნოტარიუს თ. დევდარიანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი ირ. აბაშიძის №43/ლ. კავსაძის #9, ბინა №13 მომმართა მოქალაქე მანანა კვირკველიამ (დაბ. 20.05.1983 თბილისში, მცხოვრები: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №43, პირადობის მოწმობის №20IB85146, პირადი № 01008021201, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 05.11.2021) უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე მთარგმნელმა. მან წარმოადგინა დოკუმენტი მისივე თარგმანთან ერთად და მოითხოვა თარგმანზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

I, Notary T. Devdariani, in my notary's office at the address: №43, I. Abashidze Str., / №9, L. Kavsadze str., Tbilisi, was

applied by the translator MANANA KVIRKVELIA (born on 20.05.1983, in Tbilisi, residing in: №43, Z. Paliashvili Str.,

Tbilisi, ID card 20IB85146, personal number 01008021201, issued on 05.11.2021 by the Ministry of Justice). She has

submitted a document with her translation and requested to notarize her signature to the translation.

მე დავადგინე მანანა კვირკველიას პიროვნება წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ასევე შევამოწმე მისი უფლებაუნარიანობა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი BH №03292, გაცემული 2004 წელს) და ვადასტურებ, რომ იგი ნამდვილად ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უფლებამოსილია განახორციელოს თარგმნა. მე გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარჯიმანმა განაცხდა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას. ითვალისწინებს აღნიშნულს, უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. შემდეგ მან, ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე (დაგეგმილი ტექნიკური მომსახურების)დოკუმენტის თარგმანზე, რასაც ვამოწმებ.

I established the personality of MANANA KVIRKVELIA through the ID card submitted by her and her authority (diploma BH №03292, issued by the Ivane Javakhishvili State University of Tbilisi) and confirm that she knows the

English language and is authorized to perform the translation. In addition, the translator was informed that she was

responsible for the consequences of the incorrect translation. Afterwards, she signed this translation in my presence,

which I notarize.

14ლ.44თ

გადახდილია საზღაური, სულ: ლარი

As a notary service fee is paid: GEL

საქართველოს მთავრობის დადგენილების (№507, 29.12.2011წ) "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე დადგენილების 39-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად და დ.ღ.გ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად

According to the Resolution of the Government of Georgia (№507 as of 29.12.2011) "On Approval of the Amounts of

Fee for Notary Services and Fee Due to the Notary Chamber of Georgia, the Procedure of Payment Thereof and the Terms

of Service", Article 31, Paragraph3, and Article 39, Paragraph 1, the VAT according to the requirements of the Tax Code of Georgia

ნოტარიუსი: თინათინ დევდარიანი

Notary : Tinatin Devdariani

GEORGIA NOTARY ГРУЗИЯ НОТАРИУС 01008021201

267

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231741714
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.12.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	თინათინ დევდარიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქუჩა N43/ლ.კავსაძის 9, ბინა 13
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	229-35-11
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	77834709979223

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვ www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18